

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა
კოდექსში ცვლილებების შეგანის თაობაზე

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N2, 1984 წელი, მუხ. 421) შეგანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 209-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შინაგან საქმეთა ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 107¹, 107², 107³, 108-ე, 114¹, 116-ე–119-ე, 120-ე–123-ე, 125-ე და 127-ე მუხლებით, 127¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 128-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 129¹ მუხლით, 131-ე მუხლით (საავტომობილო ტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის), 134-ე მუხლით, 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილებით, 176¹ და 190-ე მუხლებით, 190² მუხლით, 191-ე მუხლის პირველი და 1¹ ნაწილებით (მათ შორის სასაზღვრო გამტარ პუნქტზე გამოვლენისას).“

2. 219¹ მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. 239-ე მუხლის:

ა) მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ კოდექსის 45-ე, 81-ე, 107-ე, 114¹, 116-ე–125-ე და 127-ე მუხლებით, 127¹ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 134-ე, 166-ე, 173-ე, 174¹, 176¹, 177¹, 180-ე–183-ე და 190² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო სამხედრო მოსამსახურის მიერ ამ კოდექსის 45-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში ოქმებს ადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.“

ბ) 41-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„41. ამ კოდექსის 58² მუხლით, 86-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ორგანოებთან ერთად) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები.“

გ) 48-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„48. ამ კოდექსის 155³–155⁶, 171³ და 191-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.“

დ) 55-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„55. ამ კოდექსის 185-ე, 186-ე და 191-ე მუხლებით (გარდა სასაზღვრო გამტარ პუნქტზე გამოვლენისას) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.“

4. 246-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფ მდგომარეობასი ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვაგვარი დარღვევების, ამ კოდექსის 58² მუხლით, 86-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით, 114¹, 190-ე და 190² მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;“

ბ) ამორებული იქნეს „ბ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი